ხელშეკრულება №10

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2018 წლის 30 აპრილი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. საჩხერეში ერთის მხრივ, ა. ი. პ. საჩხერის კულტურის ცენტრი (მისამართი ქ. საჩხერე, თავისუფლების ქ. №1, შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი ა. ი. პ. საჩხერის კულტურის ცენტრის დირექტორის **ონისე ჭიღლაძის** სახით და მეორეს მხრივ შპს ფენიქსი (მის: საჩხერე, გომართლის ქ.3) (შემდგომში მიმწოდებელი) ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. საჩხერის კულტურის ცენტრის მიერ საქონლის შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია კლასიფიკატორის ჯგუფის **38423100** კოდით გათვალისწინებული საქონელი, თანახმად დანართისა.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება ლარებში.
3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **24(ოცდაოთხი) ლარს.**

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს მხოლოდ საჩხერის არასამეწარმეო იურიდიული პირის „საჩხერის ობოლა ციმაკურიძის სახლეობის კულტურის ცენტრის" მიერ უფლებამოსილ პირს.
ბ) შემსყიდველს მიაწოდოს შესაბამისი ხარისხის და სტანდარტის საქონელი, უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში შეცვალოს ის ხარისხიანი პროდუქციით.
გ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული ზარალი;
4.2. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინერბულ ვადებში აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

6.1. საქონლის მიწოდება განხოციელდება **2018 წლის 15 მაისის** ჩათვლით.
6.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.საჩხერე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

7.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებელთან ანგარშსწორება განხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება სათანადო დოკუმენტების გაფორმებიდან (მიღება-ჩაბარების აქტი, ელექტრონული სასაქონლო ზედნადები) არაუგვიანეს ხუთი საბანკო დღის განმავლობაში.
7.3. ანგარიშსწორების ადგილია ქ. საჩხერე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 14 ივნისამდე.

9. დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) გარემოებები

9.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებები, რომლის წარმოშობა არ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
9.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებათ ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძერა, შტორმი და სხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც

ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

9.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

9.4. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

9.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

9.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

9.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

9.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

10. ხელშეკრულების ბათილობა

10.1. ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება მოიშალოს:

ა) მიმწოდებლის ინიციატივით შემსყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას;

ბ) შემსყიდველის ინიციატივით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას;

გ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. მხარეთა შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით (რაც დადასტურებული უნდა იყოს ორივე მხარის წერილობითი თნხმობით), შეუთანხმებლობის შემთხვევაში ორივე მხარეს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს.

12. გარდამავალი დებულება

ა) შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულებაში შეიტანოს ცვლილებები მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე და ამ საკითხებთან დაკავშირებით არ საჭიროებს მიმწოდებლის თანხმობას.

ბ) ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

შემსყიდველი:

არასამეწარმეო იურიდიული პირი

„საჩხერის ობოლა ციმაკურიძის

სახელობის კულტურის ცენტრი“

მის: ქ. საჩხერე თავისუფლების ქ.№1

საიდენტიფიკაციო № 239396337

არასამეწარმეო იურიდიული პირი
„საჩხერის ობ. ციმაკურიძის სახ.
კულტურის ცენტრის“ დირექტორი:

(ო.ჭიღლაძე)

მიმწოდებელი:

შპს ფენიქსი

მისამართი: საჩხერე, გომართლის ქ.3

საბანკო რეკვიზიტი: სს „საქართველოს ბანკი“

BAGAGE22

ანგარიშის № **GE61BG0000000294754000**

საიდენტიფიკაციო № 239403196

შპს ფენიქსი